

**მუზეუმის ვიზიტორთა რაოდენობრივი ზრდისთვის გასატარებელი  
ღონისძიებები**

**თამარ ბიზიკაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის  
მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა კახიძე ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბიზიკაშვილი, 06.07.15

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, განიხილოს მუზეუმებში არსებული მომსახურების მდგომარეობა, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ნაშრომში განიხილება, თუ რა ცვლილებები უნდა განიცადოს მუზეუმმა, საზოგადოებისთვის მუდმივად ინტერესის სფეროს რომ წარმოადგენდეს. საუბარია ზოგადად მუზეუმზე და ვიზიტორთა მოზიდვის სხვადასხვა ღონისძიებებზე. ასევე განხილულია რაში ეხმარება მუზეუმს მარკეტინგი და როგორ შეიძლება მისი მეთოდების გამოყენება.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია მომხმარებლის კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, მათი ანალიზი, მოცემულია შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს მუზეუმმა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისთვის.

**ძირითადი საძიებო სიტყვები :** კულტურის მენეჯმენტი , მუზეუმის მარკეტინგი, ეროვნული მუზეუმი, გალერეა , ვიზიტორები